

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №68

2015 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

**მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ**

პატიმრობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესი დანართი №1 შესაბამისად.

**მუხლი 2**

დამტკიცდეს „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიმართვის ფორმა“ №2 დანართის, „მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ფორმა“ №3 დანართის, „მსჯავრდებულის ოჯახთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფორმა“ №4 დანართის, „ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების თაობაზე სრულწლოვანი მსჯავრდებულის თანხმობის ფორმა“ №5 დანართის, „პენიტენციური დაწესებულებიდან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროსათვის მსჯავრდებულის შესახებ გასაცემი ინფორმაციის ფორმა“ №6 დანართის და „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე მსჯავრდებულის თანხმობის ფორმა“ №7 დანართის შესაბამისად.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.*

**მუხლი 3**

ამ ბრძანების მოქმედება გავრცელდეს №5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაზე.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.*

**მუხლი 4**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი

გიორგი მღებრიშვილი

დანართი №1

**მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესი**

მუხლი 1. თანამშრომლობის სფერო



1. ეს წესი განსაზღვრავს პენიტენციური დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა (შემდგომში – დეპარტამენტი) და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) შორის კოორდინირებული საქმიანობის საფუძვლებს, პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრაციის, სააგენტოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს (შემდგომში – პრობაციის ბიურო) და სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში.

## **მუხლი 2. კოორდინირებული საქმიანობის პროცესში დაწესებულების ადმინისტრაციის მოვალეობები**

1. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს, დაწესებულების გარეთ ამ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე.

2. დაწესებულება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით, სრულწლოვანი მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით (დანართი №5), მიმართავს სააგენტოს ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების თაობაზე.

3. დაწესებულების მიმართვა (დანართი №2) მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) დაწესებულების მიმართვის საფუძველი;

ბ) მსჯავრდებულის შესახებ ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები;

გ) ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ;

დ) ინფორმაცია მსჯავრდებულის ოჯახის შესახებ;

ე) დაწესებულების დასახელება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს;

ვ) მსჯავრდებულის დაწესებულებაში განთავსების თარიღი;

ზ) დარჩენილი სასჯელის ვადა და სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი;

თ) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის კანონით დადგენილი ვადის მოხდის თარიღი;

ი) დაწესებულებაში მსჯავრდებულთან მომუშავე სოციალური მუშაკის სახელი და გვარი;

კ) დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები;

ლ) ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზეც მსჯავრდებულის ოჯახის შეფასებისას სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაამახვილოს ყურადღება.

4. ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიწოდებულ დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას დაწესებულების ადმინისტრაცია გადაიტანს მსჯავრდებულის დახასიათების ფორმაში, რომელიც წარედგინება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით.

5. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის დასრულებამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს (დანართი №2) პრობაციის შესაბამის ბიუროს (მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), დაწესებულების გარეთ იმ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდგომ განსაზღვრული აქვს პირობითი მსჯავრი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებულის გათავისუფლება ხდება პატიმრობის კოდექსის 37-ე მუხლის



პირველი ნაწილის „ბ“-„ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად).

6. დაწესებულება, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით, სრულწლოვანი მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით (დანართი №5), მიმართავს პრობაციის შესაბამის ბიუროს (მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების თაობაზე.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაწესებულების მომართვას თან ერთვის ამონაწერი (დანართი №6) მსჯავრდებულის სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმარების დოკუმენტიდან/პირადი საქმიდან, რომელშიც აღინიშნება:

- ა) დაწესებულებიდან მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციის გაცემის საფუძველი;
- ბ) მსჯავრდებულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
- გ) დაწესებულების დასახელება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს;
- დ) მსჯავრდებულის დაწესებულებაში განთავსების თარიღი;
- ე) სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი;
- ვ) დაწესებულებაში მსჯავრდებულთან მომუშავე სოციალური მუშაკის სახელი და გვარი;
- ზ) დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები;
- თ) მსჯავრდებულისათვის დაწესებულებაში ჩატარებული სარეაბილიტაციო მომსახურებები;
- ი) მსჯავრდებულის დამოკიდებულება დანაშაულთან მიმართებაში;
- კ) საკუთარი თავისადმი ან/და სხვა პირისადმი ზიანის რისკის შეფასება;
- ლ) გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულის გეგმები და მოლოდინები;
- მ) მსჯავრდებულის ინტერესები.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ამონაწერს თან ერთვის მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო (სტაციონარული ან/და ამბულატორიული) ცნობა – ფორმა №IV – 100ა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მსჯავრდებულის თანხმობა (დანართი №7).

9. მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია პრობაციის ბიუროში (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) გადააგზავნოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ამონაწერი, მსჯავრდებულის დაწესებულებიდან გათავისუფლებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.*

### **მუხლი 3. კოორდინირებული საქმიანობის პროცესში სააგენტოსა და პრობაციის ბიუროს მოვალეობები**

1. დაწესებულებიდან სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოში მიმართვის შესვლის შემდეგ, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი მომართვას გადასცემს სოციალურ მუშაკს, რომელიც ვალდებულია მსჯავრდებულის ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, მსჯავრდებულის ოჯახში განახორციელოს მინიმუმ 1 ვიზიტი.

2. სააგენტოს სოციალური მუშაკი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებასა და საჭიროებების განსაზღვრას ახორციელებს დადგენილი ფორმის (დანართი №3) მიხედვით.

3. სააგენტოს სოციალური მუშაკი ოჯახის შეფასების დაწყებამდე, მსჯავრდებულის ოჯახს აცნობს შეფასების მიზანს, განუმარტავს მსჯავრდებულის დაწესებულებიდან გათავისუფლებამდე ოჯახში არსებული მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკისთვის შეტყობინების აუცილებლობას, რის თაობაზეც ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (დანართი №4), რომელსაც ხელს აწერს სოციალური მუშაკი, მსჯავრდებულის ოჯახის სრულწლოვანი წევრი და დამსწრე პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. შეფასების დასრულების შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებისა და საჭიროებების



განსაზღვრის დოკუმენტი იგზავნება შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციაში.

5. პრობაციის ბიუროში შესულ, ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მიმართვას პრობაციის ბიუროს უფროსი გადასცემს პრობაციის ოფიცერს, რომელიც მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების მიზნით, მუშაობის პროცესში ჩართავს სააგენტოს შესაბამის სოციალურ მუშაკს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რენტეგრაციისათვის ოჯახის მომზადება.

7. მსჯავრდებულის ოჯახის შეფასების პროცესში (დანართი №3) სააგენტოს სოციალური მუშაკი ძირითად აქცენტს აკეთებს შემდეგ საკითხებზე:

ა) ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ;

ბ) ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ;

გ) გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის თავშესაფრის არსებობა;

დ) მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებები;

ე) გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის და/ან მისი ოჯახის წევრების სავარაუდო შემოსავლის წყარო;

ვ) სარეაბილიტაციო მომსახურებების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა გათავისუფლების შემდეგ.

8. სააგენტოს სოციალური მუშაკი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდის საქმის მწარომეხელ პრობაციის ოფიცერს.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.*



პენიტენციური დაწესებულების მიმართვის ფორმა

დაწესებულების მიმართვის საფუძველი

<input type="checkbox"/> ა) მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება			
<input type="checkbox"/> ბ) მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა			
<input type="checkbox"/> გ) მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდგომ შეფარდებული აქვს პირობითი მსჯავრი			
მსჯავრდებულის ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები		ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ	
სახელი და გვარი:			
პირადი ნომერი: სქესი:		სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა:	
დაბადების თარიღი:		ინფორმაცია ოჯახის შესახებ	
დაწესებულების დასახელება:		<input type="checkbox"/> მსჯავრდებულის ოჯახის საკონტაქტო წევრი <input type="checkbox"/> სხვა მნახველი პირი <sup>1</sup>	
დაწესებულებაში განთავსების თარიღი:		სახელი და გვარი:	
		პირადი ნომერი:	
სასჯელის დარჩენილი ვადა:	სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი:	კავშირი მსჯავრდებულთან:	<input type="checkbox"/> დედა <input type="checkbox"/> მამა <input type="checkbox"/> მეუღლე <input type="checkbox"/> შვილი <input type="checkbox"/> სხვა -----
სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის კანონით დადგენილი ვადის დადგომის თარიღი		ფაქტობრივი მისამართი:	
დაწესებულების სოციალური მუშაკის გვარი და სახელი:	დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია:	იურიდიული მისამართი:	
		საკონტაქტო ინფორმაცია:	
<b>საკითხები, რომელზეც მსჯავრდებულის ოჯახის შეფასებისას სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაამახვილოს ყურადღება</b>			
1.			
2.			

<sup>1</sup> არაოჯახის წევრი პირი, რომელიც სტუმრობს მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში.

**მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ფორმა**

ინფორმაცია მსჯავრდებულის შესახებ			
მსჯავრდებულის სახელი და გვარი:		ოჯახის შესახებ ინფორმაცია	
პირადი ნომერი: სქესი:		<input type="checkbox"/> მსჯავრდებულის ოჯახის საკონტაქტო წევრი <input type="checkbox"/> სხვა მნახველი პირი <sup>2</sup>	
დაბადების თარიღი:		სახელი და გვარი: პირადი ნომერი:	
ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ		კავშირი მსჯავრდებულთან:	<input type="checkbox"/> დედა <input type="checkbox"/> მამა <input type="checkbox"/> მეუღლე <input type="checkbox"/> შვილი <input type="checkbox"/> სხვა -----
სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა:		ფაქტობრივი მისამართი: იურიდიული მისამართი:	
		საკონტაქტო ინფორმაცია:	
<b>სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან გაცემული ინფორმაცია</b>			
ბიუროს დასახელება: ბიუროს მისამართი: ბიუროში შესული მიმართვის ნომერი:		სოციალური მუშაკის სახელი და გვარი: საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა:	
შეფასების დაწყების თარიღი: შეფასების დასრულების თარიღი:		სოციალური მუშაკის მიერ ოჯახში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა:	
პირველი შეფასება:		მითითებულ მისამართზე ოჯახთან შეხვედრა ვერ შედგა	დამატებითი ვიზიტის რაოდენობა -
განმეორებითი შეფასება: (შეფასების ბოლო თარიღი)		გამოკითხული წყაროს ჩამონათვალი /კავშირი მსჯავრდებულთან/ ინფორმირების წერილზე ხელმოწერილი პირი:	

<b>მსჯავრდებულის ოჯახის შეფასების დასკვნა</b>
ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის შესაძლო დაბრუნების მიმართ

<sup>2</sup> არაოჯახის წევრი პირი, რომელიც სტუმრობს მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში.

ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ
გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის თავშესაფრის/საცხოვრებელი ადგილის არსებობა
მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებები
გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის სავარაუდო შემოსავლის წყარო
სარეაბილიტაციო მომსახურების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა გათავისუფლების შემდეგ
ოჯახი: სხვა რესურსი:
სოციალური მუშაკის დასკვნა მომართვის ბარათში აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით: დასკვნა უნდა მოიცავდეს: <ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალური მუშაკის ფაქტებზე დაფუძნებულ ანალიზს;</li> <li>• დაწესებულების მიმართვის ფორმაში აღნიშნულ გასამახვილებელ საკითხებს;</li> <li>• მსჯავრდებულის დანაშაულის ჩადენის გამომწვევ მიზეზებს.</li> </ul>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.

დანართი №4

**მსჯავრდებულის ოჯახთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ  
შეთანხმების ფორმა**

\_\_\_\_\_ „\_\_\_\_\_” \_\_\_\_\_ 20\_\_ წ.  
(შედგენის ადგილი) (შედგენის თარიღი)

შეთანხმება დგება პენიტენციურ დაწესებულებაში (დაწესებულების დასახელება)-----  
-----მყოფი მსჯავრდებულის (სახელი, გვარი) -----  
ოჯახის სრულწლოვან ქმედუნარიან წევრსა (სახელი, გვარი) -----  
და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ  
მუშაკს/პრობაციის ოფიცერს (სახელი, გვარი) ----- შორის,  
მასზედ, რომ მსჯავრდებულის ოჯახი ინფორმირებულია სოციალური მუშაკის ოჯახში ვიზიტის  
შესახებ, ასევე ინფორმირებულია ოჯახის შეფასების მიზნისა და საჭიროების შესახებ.

ოჯახის შეფასების მიზანია სოციალური მუშაკის მიერ მსჯავრდებულის ოჯახის რისკებისა და  
საჭიროებების შესწავლა პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და დანიშნული სასჯელის  
მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის საჯელით შეცვლის თაობაზე საკითხის განხილვაზე  
დასკვნის მოსამზადებლად, რაც არ გულისხმობს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე  
გათავისუფლების ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის  
საჯელით შეცვლის მოთხოვნის გარანტირებულ დაკმაყოფილებას.

თავის მხრივ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის ოჯახის სრულწლოვანი  
ქმედუნარიანი წევრი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სოციალურ მუშაკს/პრობაციის ოფიცერს  
მსჯავრდებულის ოჯახში განხორციელებული ცვლილებების შესახებ შეფასების დასრულებიდან 6  
თვის განმავლობაში, რის საფუძველზეც მოხდება სოციალური მუშაკის/პრობაციის ოფიცერის მიერ  
დამატებითი ვიზიტის განხორციელება და საჭიროებისამებრ ხელახალი შეფასება.

შეთანხმება შედგენილია ჩემ მიერ, სოციალური მუშაკის/პრობაციის ოფიცერის (სახელი, გვარი) -----  
-----) 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ სთ. და \_\_\_\_\_ წთ–ზე  
შეთანხმების ადგილზე და სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით

სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი

ხელმოწერა

მსჯავრდებულის ოჯახის სრულწლოვანი პირი

დამსწრე პირის სახელი, გვარი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.

დანართი №5

ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების თაობაზე  
სრულწლოვანი მსჯავრდებულის თანხმობის ფორმა

\_\_\_\_\_  
(შედგენის ადგილი)

„\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 20\_\_წ.  
(შედგენის თარიღი)

პენიტენციურ დაწესებულებაში (დაწესებულების დასახელება)  
\_\_\_\_\_ მეოფი მსჯავრდებული (სახელი, გვარი,  
პირადი №) \_\_\_\_\_ თანახმა ვარ, ჩემი ოჯახისა და  
სოციალური გარემოს შეფასება განახორციელოს სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა  
აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისმა თანამშრომელმა.

მსჯავრდებულის ხელმოწერა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.

დანართი №6

პენიტენციური დაწესებულებიდან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის  
ბიუროსათვის მსჯავრდებულის შესახებ გასაცემი ინფორმაციის ფორმა

პენიტენციური დაწესებულებიდან ინფორმაციის გაცემის საფუძველი
<input type="checkbox"/> ა) მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება
<input type="checkbox"/> ბ) მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის



<b>სასჯელით შეცვლა</b>			
<input type="checkbox"/> გ) მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდგომ შეფარდებული აქვს პირობითი მსჯავრი			
<b>ინფორმაცია მსჯავრდებულის შესახებ</b>			
სახელი და გვარი: პირადი ნომერი:		დაბადების თარიღი:	
<b>მსჯავრდებულის შესახებ პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაცია</b>			
დაწესებულების დასახელება:		დაწესებულების სოციალური მუშაკის გვარი და სახელი:	
დაწესებულებაში განთავსების თარიღი:		დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია:	
სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი:			
<b>ინფორმაცია მსჯავრდებულის სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმარებიდან</b>			
დაწესებულებაში ჩატარებული სარეაბილიტაციო მომსახურებები:			
მსჯავრდებულის დამოკიდებულება დანაშაულთან მიმართებაში:			
საკუთარი თავისადმი ან/და სხვისადმი ზიანის რისკის შეფასება:			
<input type="checkbox"/> მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო (სტაციონარული ან/და ამბულატორიული) ცნობა – ფორმა №IV – 100ა (დანართის სახით)			
მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდგომი გეგმები და მოლოდინები:			
მსჯავრდებულის ინტერესები:			

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 12.04.2016 წ.

**დანართი №7**

**ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე მსჯავრდებულის თანხმობის ფორმა**

\_\_\_\_\_ „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 20\_\_ წ  
 (შეთანხმების შედგენის ადგილი) (შედგენის თარიღი)

შეთანხმება დგება, ერთი მხრივ, პენიტენციურ დაწესებულებაში (დაწესებულების დასახელება) \_\_\_\_\_ მყოფ მსჯავრდებულს (სახელი, გვარი, პირადი №) \_\_\_\_\_ და, მეორე მხრივ, პენიტენციური დაწესებულების ექიმს (სახელი, გვარი) \_\_\_\_\_ შორის მასზედ, რომ მსჯავრდებული ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილ თანამშრომელს სახელმწიფოში არსებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და მკურნალობის შესახებ საჭირო და დროული მომსახურების მიღების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

შეთანხმება არ გულისხმობს მსჯავრდებულის სამედიცინო საჭიროებების გარანტირებულ დაკმაყოფილებას.

შეთანხმება შედგენილია პენიტენციური დაწესებულების ექიმის მიერ, 20\_\_ წლის \_\_\_/\_\_\_/\_\_\_ საათზე და \_\_\_ წუთზე შეთანხმების ადგილზე და სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

პენიტენციური დაწესებულების  
ექიმი /სახელი და გვარი/

მსჯავრდებული /სახელი და გვარი/

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ხელმოწერა \_\_\_\_\_